პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1975
კვირა
16
ნოემბერი
№ 269
(16395)
ფასი
2 კაპ.
1975

გაზეთი გამოდის
1920 წლის
3 თებერვლიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

შეჯიბრების მოწინავენი

პრესა სწრაფად უნდა მივაწოდოთ მკითხველს

ერთი წლის მანძილზე ჩვენი ქვეყნის სტაშებში იბეჭდება და მკითხველებს ეგზავნება 40 მილიარდამდე ეგზემპლარი ყურნალ-გაზეთები. ახალი ყურნალ-გაზეთები მკითხველს აწვდის ახალ ცოდნას, ცნობებს დღის უმნიშვნელოვანესი მოვლენების შესახებ, აანალიზებენ საბჭოთა საზოგადოებისა და საერთაშორისო ცხოვრების განვითარების პრობლემებს, ავრცელებენ შრომის საუკეთესო გამოცდილებას, ხელს უწყობენ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას, ჩვენს უფრო სწრაფ წინსვლას.

ბეჭდვითი სიტყვის ქმედითობის უმნიშვნელოვანესი პირობა ოპერატიულობაა. დაგვიანება, აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, შეუთავსებელია საგაზეთო საქმესთან. ეს მოთხოვნა განსაკუთრებით აქტუალურია ახლა, როცა მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებათა როლი უფრო გაიზარდა, გაფართოდა მკითხველთა შრავალმილიონიანი აუდიტორიის სულიერი მოთხოვნილებები, ხოლო პრესის მუშაობის მთავარი, განმსაზღვრელი მიმართულება გახდა სკკპ XXV ყრილობისათვის მზადება.

ამ ბოლო დროს ბევრი რამ გაკეთდა ხელისმოწერთათვის ჟურნალ-გაზეთების მიწოდების დასაჩქარებლად. ამჟამად ცენტრალური გამოცემები იბეჭდება ქვეყნის 44 ქალაქში, ათობით პუნქტში გაზეთის გვერდებს გადაცემენ ფოტოტელეგრაფის საშუალებით. მწყობრში დგება ჟურნალ-გაზეთების ექსპედიციები, პერიოდიკის დამუშავების ნაკადური ხაზები. და ძალზე საჭიროა, რომ ამის შედეგად მიღწეული ოპერატიულობა ეფექტიანად მტკიცდებოდეს ბოლო ეტაპზე — კავშირგაბმულობისა და „სოიუზპეჩატის“ განყოფილებების, საცალო ვაჭრობის საშუალებით გამოცემების გავრცელების დროს. აქაც სასიხარულო ცვლილებები ხდება: ქვეყნის 89 დიდ ქალაქში ხელმომწერნი გაზეთებს იღებენ დილის 8 საათისათვის, ცენტრალური გაზეთების ტირაჟის 83 პროცენტზე მეტს და ადგილობრივი გაზეთების 92 პროცენტს მკითხველი მათი გამოსვლის დღეს იღებს.

მაგრამ მთლიანად ქვეყანაში მიღწეული წარმატებები ვერ დაფარავს იმ არსებითს ნაკლოვანებებს, რომელთა გამო მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებში გვიანდება მასობრივი გაზეთების მიწოდება მოსახლეობისათვის. როგორც „პრავდის“ მკითხველები იტყობინებიან, უზბეკეთსა და ხაბაროვსკის მხარეში, ასტრახანსა და ზოგიერთ სხვა ოლქში ბევრი ხელმომწერი ჯერ კიდევ იძულებულია გაზეთს მისი გამოსვლის შემდეგ ერთ ან ორ დღეს ელოდოს. უველგან რიგიან ორგანიზებული მექანიზებული და დროული მიწოდება. აზერბაიჯანის სსრ, საქართველოს სსრ, კემერეროვოს, კრასნოდარის, ჩიტინსკის ოლქის ცალკეული რაიონების კავშირგაბმულობის საწარმოებში ცენტრალური გაზეთებს, რომლებიც ზუსტად გრაფიკით მიიღეს, ხშირად „აჩერებენ“ ადგილობრივ გამოცემათა დაგვიანებული გამოსვლის გამო. ასეთი ფაქტები უოველად გუმპრთლებელია. კავშირგაბმულობის სამინისტრომ და მისმა ორგანოებმა უნდა იზრუნონ დისციპლინის განმტკიცებისათვის კავშირგაბმულობის იმ განყოფილებებში, სადაც არღვევენ გაზეთების მიტანის დადგენილ წესს. ამ საფრთხე უველა თანამშრომელმა იცე უნდა შეასრულოს თავისი მოვალეობა, რომ არ დაუშვას შეფერხებები და გაჭიანურება, რაც მკითხველებს აწუხებს. მოსახლეობას სწრაფად უნდა ვაწოდებდეთ როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ გამოცემებს.

პარტიულმა კომიტეტებმა, შრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა ქმედითი კონტროლი უნდა დაუწესონ პრესის გავრცელების უზარმაზარი კონვეიერის მუშაობას, რომელშიც უველაფერი ერთმანეთთან არის დაკავშირებული და რომელიმე რგოლის უწესივრობას გარდუვალად მოსდევს მთელი მუშაობის შეფერხება. სწორედ ამიტომ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ თვითეულ ქალაქსა და რაიონში, ოლქში, მხარესა და რესპუბლიკაში ყურადღებით განიხილონ რედაქციების, სტამბების, ყურნალ-გაზეთების ექსპედიციების, კავშირგაბმულობის კვანძების და სატრანსპორტო ქვეგანაყოფების შეთანხმებული მუშაობის გრაფიკები, განსაზღვრონ შეუთანხმებლობისა და შეფერხების ლოკალიაციის კონკრეტული გზები. პრესის მიწოდების დაჩქარებაში კავშირგაბმულობის მუშაკები დახმარებას მოელიან საავტომობილო მრეწველობის სამინისტროსაგან და სამოქალაქო ავიაციის სამინისტროსაგან.

შემდგომ სრულყოფას მოითხოვს ყურნალ-გაზეთების საცალო ვაჭრობა. საუკეთესო სამსახურების „სოიუზპეჩატის“, კიოსკების გამოცდილება ჯეროვნად არის დაფასებული მოსახლეობის მადლიერ წერილებში. მაგრამ ეს გამოცდილება ნელა ვრცელდება. კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეებიდან, თათრეთის ასს რესპუბლიკიდან, დონეცკის, ლვოვის, აღმოსავლეთ უაზახეთის, ჩიტისა და მთელი რიგი სხვა ოლქებიდან მოდის ხაზვრები, რომ იქ ცოტაა საგაზეთო კიოსკები, მათი ნაწილი გვიან იღება და ცოტა ხანს მუშაობს. კავშირგაბმულობის ორგანოებისა და „სოიუზპეჩატის“ ხელმძღვანელებმა ადგილობრივი საბჭოების აქტიური ხელშეწყობით ერთად უნდა შეისწავლონ მკითხველთა მოთხოვნილებები და ამ საფუძველზე გადაჭრან მომწიფებული პრობლემები. საქმე, უწინარეს ყოვლისა, ეხება კიოსკერთა ორკვლიანი მუშაობის ორგანიზაციას, უნარიან რეკლამას, ყველაზე ხალხმრავალ ადგილებში დამატებითი კიოსკებისა და ყურნალ-გაზეთების გამოსატანი დახლების გახსნას. ასეთი კიოსკიანი თანამშრომლები მარტო გამყიდველები კი არა, არამედ, უნდა იყვნენ ყოველისა, პრესის გამგრცელებლები არიან და ამიტომ თავიანთ პროფესიაში ნამდვილი ოსტატები უნდა იყვნენ.

განსაკუთრებულ ყურადღებას და მუდმივ დახმარებას იმსახურებენ ფოსტალიონები. უფრო ფართოდ უნდა დავნერგოთ ყურნალ-გაზეთების მექანიზებული მიტანა, რაც აადვილებს კავშირგაბმულობის ამ კატეგორიის მუშაკთა შრომას, აჩქარებს გამოცემათა შორეულ დაბებსა და სოფლებში მიწოდებას. სწორად იქცევიან იქ, სადაც ფოსტალიონებს ანდობენ მიტანა, რაც აადვილებს კავშირგაბმულობის ამ კატეგორიის მუშაკთა შრომას, აჩქარებს გამოცემათა შორეულ დაბებსა და სოფლებში მიწოდებას. სწორად იქცევიან იქ, სადაც ფოსტალიონებს აძლევენ კეთილმოწყობილ ბინებს, ჯანმრთელობის კერების შეღავათიან საგზურებს, ადგილებს სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებებში. მისაბაძია ბალტიისპირეთის რესპუბლიკების მაგალითი, სადაც შექმნეს შტატგარეშე ფოსტალიონების რეზერვი, რომლებიც ძირითად თანამშრომლებს ცვლიან დასვენების დღეებში, რითაც აძლევენ დასვენების საშუალებას და უზრუნველყოფენ პრესის შეუფერხებელ მიწოდებას.

მგეგმავმა ორგანოებმა ყოველმხრივ უნდა გაითვალისწინონ კავშირგაბმულობის ორგანოების მოთხოვნილებები, გამოუყონ მათ მეტი სპეციალური საფოსტო ავტომობილები. ყველგანმავლები, მცირეტვირთამფლეთის ავტომობილები. ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები, სამშენებლო უწყებები უნდა ზრუნავდნენ იმისათვის, რომ ახალი საცხოვრებელი შენობები საექსპლოატაციოდ გადასცენ ჩაშენებული საობონენტო კარადებით, რაც თანამედროვე საფოსტო მომსახურების განუყოფელი ნაწილია.

ახლა ჩვენს ქვეყანაში მთავრდება 1976 წლის ყურნალ-გაზეთებზე ხელმოწერა. ამ პასუხსაგებ პოლიტიკურ კამპანიაში თვალსაჩინოდ ვლინდება მოსახლეობის მოთხოვნები „ბეჭდვითი საამქროს“ პროდუქციისადმი, უფრო ნათელი ხდება ხარვეზები მკითხველისათვის გამოცემათა მიწოდებაში და საჭიროა მათი ყოველმხრივ გათვალისწინება. ბეჭდვითი სიტყვა ქმედითად გვეხმარება კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული ეგემების განხორციელებაში. კავშირგაბმულობის მუშაკების, პარტიული და საბჭოთა ორგანოების მოვალეობაა დღეიდან იღვწოდნენ ყურნალ-გაზეთების მიწოდების გაუმჯობესებისათვის.

ლენინის კურსით — ოქტომბრის დროშით

პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ ბროშურად გამოუშვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის ა. ა. პელშეს მოხსენება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 58-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე, რომელიც 1975 წლის 6 ნოემბერს გაიმართა კრემლის ყრილობათა სასახლეში. (საკდესი).

ხუთწლედის დამთავრებამდე დარჩა 45 დღე

სკკპ XXV ყრილობის შესახვედრად

□ „საქქვანახშირის“ კომბინატმა წლეულს გეგმის გადამეტებით 1,4 მილიონი მანეთის პროდუქცია გამოუშვა.

□ მახარაძის რაიონის სამრეწველო საწარმოებმა გადაწყვიტეს ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით 17 მილიონი მანეთის პროდუქცია გამოუშვან.

□ სამოდელო ფეხსაცმლის ფაბრიკის კოლექტივმა განვლილ ათ თვეში გეგმის გადამეტებით მოემზადებელს 511 ათასი მანეთის პროდუქცია მიაყარა.

□ პურაროდუქტების კომბინატის კოლექტივმა ათ თვეში 184 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება მიიღო.

ვადამდე შეასრულეს

„საქქვანახშირის“ კომბინატის კოლექტივმა, რომელიც ჩაბმულია შეჯიბრებაში სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, მეცხრე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისა და სკკპ XXV ყრილობის და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის, თვენახევრით ადრე შეასრულა ქვანახშირის მოპოვებისა და პროდუქციის რეალიზაციის ხუთწლიანი გეგმა. ამასთან, ხუთწლედის განმავლობაში შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 20 პროცენტით. პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით დაიზოგა 2,5 მილიონი მანეთი. მიღებულია 2.276 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება.

ხუთწლედის დავალებათა შესრულებაში განსაკუთრებით გამოირჩევა თავი ტყვარჩელის სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის მაღაროს კოლექტივმა, რომელმაც 25 თვლისს შეასრულა ხუთწლედი, აგრეთვე ტყიბულის ლენინის სახელობის, დაბადების და ორჯონიკიძის სახელობის შახტების კოლექტივებმა.

კომბინატის სისტემაში 24 ოქტომბერს შესრულდა ქვანახშირის მოპოვებისა და პროდუქციის რეალიზაციის ათი თვის გეგმა. მნიშვნელოვანი გადაჭარბებით სრულდება ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვების ვალდებულებანი. ხუთწლედის დამთავრებელ წელს პროგრამის დამატებით გამოშვებულია 1,4 მილიონ მანეთისაზე მეტი პროდუქცია.

კომბინატის საწარმოთა კოლექტივებმა გადაწყვეტეს 1976 წლის იანვარ-თებერვლის გეგმა შეასრულონ სკკპ XXV ყრილობის გახსნის დღისათვის (საქინფორმი).

მაზარაძის. რაიონის სამრეწველო ხელარმოებმა ვადაზე ადრე, პირველი ოქტომბრისათვის სამუშაოს ხუთწლიანი გეგმის შესრულება უპატაკეს.

მახარაძის რაიონის სამრეწველო საწარმოებმა „განვლილ პერიოდში გეგმით გათვალისწინებული 435 მილიონ 598 ათასი მანეთის ნაცვლად გამოუშვეს 437 მილიონ 383 ათასი მანეთის საერთო პროდუქცია და მოახდინეს 439 მილიონ 775 ათასი მანეთის პროდუქციის რეალიზაცია — 2 მილიონ 88 ათასი მანეთით მეტი, ვიდრე ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა.

სკკპ XXV და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების ღირსეულად შეხვედრისათვის გაშლილ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ ჩაის სამრეწველო გაერთიანების და ელექტროქსელების კოლექტივები, რომლებმაც ხუთწლედი ოთხ წელიწადში შეასრულეს, აგრეთვე რაისამრეწველო კომბინატის, საქსოფლტექნიკის გაერთიანების და სტამბის კოლექტივები, რომლებმაც ხუთწლიანი პროგრამა ოთხწლეულწადნახევარში დაძლიეს.

რაიონის მრეწველობის მშრომელებმა გადაწყვიტეს წლის ბოლომდე ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით გამოუშვან 17 მილიონი მანეთის პროდუქცია.

ეს რედაქციას აცნობა საქართველოს კპ მახარაძის რაიონის პირველმა მდივანმა შ. მალაზონიამ.

ეკონომიაც, მოგებაც

თბილისი. პურაროდუქტების კომბინატის კოლექტივმა სკკპ XXV და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალი წარმატება მოიპოვა. საერთო პროდუქციის გამოშვების ათი თვის დავალება სამშობლოს ოქტომბრისათვის უპატაკა, ხოლო პროდუქციის რეალიზაციის გეგმა 20 ოქტომბრისათვის გადაჭარბებით შეასრულა.

საწარმოს კოლექტივი გეგმის შესრულებასთან ერთად სისტემატურად აუმჯობესებს ტექნიკურ-ეკონომიურ მაჩვენებლებს. შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით 3,4 პროცენტით გაიზარდა. რენტაბელობამ გეგმიან დავალებას 7 პროცენტით გადაჭარბა. მომჭირნეობის რეჟიმის მტკიცედ განხორციელების შედეგად დაზოგილია 320 ათასი მანეთის მასალები და ელექტროენერგია. ზეგეგმითმა მოგებამ 184 ათასი მანეთი შეადგინა.

შეუფერხებლად, გრაფიკის მიხედვით მოვამზადოთ პური ქარხნები ფვალით — კომბინატში ამ დარგიანი სულ უფრო ფართოდება სოციალისტური შეჯიბრება. ეს რედაქციას აცნობა კომბინატის დირექტორმა ბ. კიბეშვილმ.

საუბარი სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა სკკპ ცენტრალური. კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ა. კ. კირილენკოს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის კანდიდატის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ბ. ნ. პონომარიოვისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების გამგის მოადგილის რ. ა. ულიანოვსკის შეხვედრა კოზოს სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციასთან, რომლის შემადგენლობაში იყვნენ კოზოს შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, კოზოს შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი საერთაშორისო საკითხებში პ. ნზე (დელეგაციის მეთაური), კოზოს შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, კოზოს სახალხო რეწვობლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე შ. ნგუოტო, კოზოს შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი დ. სასუ-ნგესო, კოზოს შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, კოზოს სოციალისტური ახალგაზრდობის საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ა. ე. ოლაბანდო.

კოზოს შრომის პარტიის წარმომადგენლებმა ილაპარაკეს, თქვა ღონისძიებებს ახორციელებენ კოზოელი მშრომელები ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების შესასრულებლად, როგორ: იბრძვიან იმპერიალისტური ძალების ხრიკების წინააღმდეგ. ეკონომიკიდან მაღლობა გადაუხადა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა მთავრობას ეროვნული შენებლობის ამოცანათა გადაწყვეტაში გაწეული დახმარებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის — წარმომადგენლები სტუმრებს ესაუბრნენ საბჭოთა ხალხის შრომით მიღწევებზე, ხუთწლედის დამამთავრებელ წლის დავალებათა წარმატებით შესრულებაზე, სკკპ XXV ყრილობისათვის მზადებასა და მშვიდობის პროგრამის განხორციელებაზე. მათ სოლიდარობა გამოუცხადეს ეროვნული და სოციალური პროგრესისათვის კოზოელ მშრომელთა ბრძოლას.

მხარეები მიესალმნენ ანგოლის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადებას და დაადასტურეს, რომ მხარს უჭერენ დამოუკიდებელი, ერთიანი, ანტიიმპერიალისტური და დემოკრატიული ანგოლისათვის ანგოლის განთავისუფლების სახალხო მოძრაობის მამაცურ ბრძოლას, მათ დაგმეს ანგოლის საშინაო საქმეებში რასისტული, რეაქციული და პროიმპერიალისტური ძალების ჩარევა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და კოზოს შრომის პარტიის წარმომადგენლებმა განიხილეს, რომ ისწრაფვიან განამტკიცონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და კოზოს შრომის პარტიის, საბჭოთა და კოზოელი ხალხების მეგობრობა და ურთიერთობა იმპერიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობის, ხალხთა უშიშროების, ეროვნული განთავისუფლებისა და სოციალიზმის საქმისათვის ბრძოლაში.

საუბრობა გულთბილ, შეგობრულ გეთიერებაში ჩაიარა.



ვიზიტი დამთავრდა

ბონს გაემგზავრა
გერმანიის ფედერაციული
რესპუბლიკის პრეზიდენტი
ვ. შეელი

◆

ბონი, 15 ნოემბერი. (საკდესი). გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური პრეზიდენტი ვ. შეელი, რომელიც უზბეკეთს ეესტუმრა, დღეს ეწვია ტაშკენტის სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხანას, დაათვალიერა საწარმოს საამქროები, მთავარი კონვეიერი.

საბჭოთა სტუმარმა დაათვალიერა აგრეთვე ქალაქი, მისი ახალი საცხოვრებელი უბნები.

იმავე დღეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური პრეზიდენტი ვ. შეელი, რომელიც საბჭოთა კავშირში ოფიციალური ვიზიტით იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მოწვევით, მეუღლეთურთ ბონს გაემგზავრა.

გზად თეირანში

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ჰ. ზინდერმანი თბილისში

15 ნოემბერს საქართველოს დედაქალაქში ზნად ჩამოვიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაცია გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ჰ. ზინდერმანის მეთაურობით, რომელიც ოფიციალური ვიზიტით მიემგზავრება ირანში.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ე. ოლაბანდო.

კოზოს შრომის პარტიის წარმომადგენლებმა ილაპარაკეს, თქვა ღონისძიებებს ახორციელებენ კოზოელი მშრომელები ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების შესასრულებლად, როგორ: იბრძვიან იმპერიალისტური ძალების ხრიკების წინააღმდეგ. ეკონომიკიდან მაღლობა გადაუხადა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა მთავრობას ეროვნული შენებლობის ამოცანათა გადაწყვეტაში გაწეული დახმარებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის — წარმომადგენლები სტუმრებს ესაუბრნენ საბჭოთა ხალხის შრომით მიღწევებზე, ხუთწლედის დამამთავრებელ წლის დავალებათა წარმატებით შესრულებაზე, სკკპ XXV ყრილობისათვის მზადებასა და მშვიდობის პროგრამის განხორციელებაზე. მათ სოლიდარობა გამოუცხადეს ეროვნული და სოციალური პროგრესისათვის კოზოელ მშრომელთა ბრძოლას.

მხარეები მიესალმნენ ანგოლის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადებას და დაადასტურეს, რომ მხარს უჭერენ დამოუკიდებელი, ერთიანი, ანტიიმპერიალისტური და დემოკრატიული ანგოლისათვის ანგოლის განთავისუფლების სახალხო მოძრაობის მამაცურ ბრძოლას, მათ დაგმეს ანგოლის საშინაო საქმეებში რასისტული, რეაქციული და პროიმპერიალისტური ძალების ჩარევა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და კოზოს შრომის პარტიის წარმომადგენლებმა განიხილეს, რომ ისწრაფვიან განამტკიცონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და კოზოს შრომის პარტიის, საბჭოთა და კოზოელი ხალხების მეგობრობა და ურთიერთობა იმპერიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობის, ხალხთა უშიშროების, ეროვნული განთავისუფლებისა და სოციალიზმის საქმისათვის ბრძოლაში.

საუბარი გულთბილ, შეგობრულ გეთიერებაში ჩაიარა.

როგორ ვემზადებით

ზამთრის პირობებში მუშაობისათვის მეურნეობათა მზადყოფნის რესპუბლიკური საზოგადოებრივი დათვალიერება

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭომ პრესკონფერენციაზე, რომ 1975 წლის 15 ნოემბრიდან 1 დეკემბრამდე მოაწყოს ზამთარში სამუშაოდ მეურნეობათა მზადყოფნის რესპუბლიკური საზოგადოებრივი დათვალიერება.

დათვალიერების დროს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და სამშენებლო ორგანიზაციების, საყოფაცხოვრებო და საბინაო-კომუნალური მეურნეობების, სასწავლო, სამკურნალო-პროფილაქტიკური, სკოლამდელ ბავშვთა, კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ზამთრის პირობებში სამუშაოდ მომზადების შემუშავებული ღონისძიებების შესრულებას; გასათბობი სისტემების, საქვაბეების, ორთქლტურბსადენების, თერმოიზოლაციის მომზადებას, სათბობით უზრუნველყოფას, საწარმოო და დამხმარე შენობების მზადყოფნას, ხანძარეულ-საყოფაცხოვრებო შენობებისა და მოწყობილობების, ელექტრო-ძალური და ელექტროსანათი ქსელების მდგომარეობას; ზამთრის პირობებში სამუშაოდ ავტოტრანსპორტის მზადყოფნას; მისასვლელი და საამქროთშორისი გზების მდგომარეობას; კალორიფერული დანადგარებით საკენტილაციო სისტემების უზრუნველყოფასა და მათს მდგომარეობას; ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის მდგომარეობას.

დამტკიცდა დათვალიერების პირობები და რესპუბლიკური დამთვალიერებელი კომისიის შემადგენლობა, რომელსაც მეთაურობს პროფსაბჭოს მდივანი ი. ბ. ხაზარაძე.

გამარჯვებულთა დაჯილდოებისათვის დამტკიცდა საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს სამი ხარისხის დიპლომი.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტისა და პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭოს დიპლომებით დათვალიერების გამარჯვებულთა დაჯილდოებისათვის ანდიდატურებს რესპუბლიკურ კომისიაში წარადგენენ სამინისტროები, უწყებები, სახალხო კონტროლის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები, პროფკავშირთა საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოები. დარგობრივი პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტები. (საქინფორმი).

□

სამრეწველო-ტექნიკურ კონფერენციაზე

საქართველოს სამრეწველო წარმოების ინტენსიფიკაციისათვის

საქართველოში საწარმოო ხიმძლავრეების გამოყენების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა, რესპუბლიკის მშრომელთა მიერ სკკპ XXV ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებების წარმატებით შესრულების საქმეში მათი მნიშვნელობის შესახებ დიდი სკკ-ბაასი გაიმართა რესპუბლიკურ სამეცნიერო-ტექნიკურ კონფერენციაზე, რომელიც თბილისში მოეწყო. კონფერენცია მოიწვიეს საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებების რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ეკონომიკისა და სასაღსო მეურნეობის ადგილმის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა, მასში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციების, უმაღლესი სასწავლებლების, საწარმოო გაერთიანებებისა და საწარმოების წარმომადგენლები.

კონფერენციის პლენარულ სხდომაზე მოხსენება „ძირითადი ფონდებისა და საწარმოო სიმძლავრეების მაქსიმალური გამოყენების ბაზაზე საქართველოს სსრ სამრეწველო წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ამოცანები“ გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ვადაჭკორიამ.

კონფერენციაზე დაისახა საქართველოს სსრ მრეწველობაში საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების შემდგომი გაუმჯობესების, ამ საფუძველზე მისი საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებები.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობის და ტრანსპორტის განყოფილების გამგე ბ. ბარსუკოვი, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ი. ხაზარაძე. (საქინფორმი).

ბაბუაჩემი ალიოშა

ალექსეი ტოლსტოი

ბაბუაჩემი ალიოშა ბებიაჩემ ანიუტასთან ერთად ცხოვრობდა ბაღჩასარაის ქალაქში, ერთ ფანჯრიან ბინაში. ბინა ეკუთვნოდა ბებიაჩემ ანიუტას, ბაბუაჩემ ალიოშა ბინადარი იყო. ბინა ეზოში ეგო, ეზოში ბევრი ბავშვი ცხოვრობდა. ბაბუაჩემ ალიოშა ბავშვებს ეტრფოდა, ბავშვებიც ეტრფოდნენ ბაბუაჩემ ალიოშას. ბაბუაჩემ ალიოშა ბავშვებს ეუბნებოდა: „ბავშვებო, ბავშვებო, ეს ბინა ჩემია, ეს ეზო ჩემია, ეს ბაღჩა ჩემია, ეს ბაღჩასარაი ჩემია, ეს ბაღჩასარაის ქალაქი ჩემია, ეს ბაღჩასარაის ოლქი ჩემია, ეს ბაღჩასარაის ოლქის ბინადრები ჩემია, ეს ბინადრების ბინადარი ჩემია, ეს ბინადრების ბინადრების ბინადარი ჩემია, ეს ბინადრების ბინადრების ბინადრების ბინადარი ჩემია, ეს ბინადრების ბინადრების ბინადრების ბინადრების ბინადარი ჩემია, ეს ბინადრების ბინადრების ბინადრების ბინადრების ბინადრების ბინადარი ჩემია, ეს ბინადრების ბინადრების ბინადრების ბინადრების ბინადრების ბინადრების ბინადარი ჩემია, ეს ბინადრების ბინადრების ბინადრების ბინადრების ბინადრების ბინადრების ბინადრების ბინადარი ჩემია, ეს ბინადრების ბინადრების ბინადრების ბინადრების ბინადრების ბინადრების ბინადრების ბინადრების ბინადარი ჩემია, ეს ბინადრების ბინადრების ბინადრების ბინადრების ბინადრების ბინადრების ბინადრების ბინადრების ბინადრების ბინადარი ჩემია, ეს ბინადრების ბინადრების ბინადრების ბინადრების ბინადრების ბინადრების ბინადრების ბინადრების ბინადრების ბინადრების ბინადარი ჩემია, ეს ბინადრების ბინადრების ბინადრების ბინადრების ბინადრების ბინადრების ბინადრების ბინადრების ბინადრების ბინადრების ბინადრების ბინადარი ჩემია, ეს ბინადრების ბინადრების ბინადრების ბინადრების ბინადრების ბინადრების ბინადრების ბინადრების ბინადრების ბინადრების ბინადრების ბინადრების ბინადარი ჩემია, ეს ბინადრების

როცა პასუხისმგებლობა და კონტროლი მივიწყებულია

აღმოვფხვრათ ნაკლოვანებები და დარღვევები მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლ-ინტერნატების მუშაობაში

1972 წელს საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის შემოწმების შედეგად გამოვლინდა ნაკლოვანებები და დარღვევები მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლ-ინტერნატების მუშაობაში. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს (მინისტრი მ. ნიხლაძე), მინისტრის მოადგილე გ. ნადაშვილი) და მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლ-ინტერნატების ხელმძღვანელებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს მათი კეთილმოწყობისა და მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის, სურსათით მომარაგების გაუმჯობესებისათვის და სხვ. მაგრამ ამ ობიექტებზე კვლავაც სერიოზული მდგომარეობაა.

დადგინდა, რომ სამინისტროს ხელმძღვანელობამ სრული უპასუხისმგებლობა გამოიჩინა და რეაგირება არ მოახდინა სახალხო კონტროლის კომიტეტის დადგენილებაზე, არ დასახა კონკრეტული ღონისძიებები კამოვლინებულ ნაკლოვანებათა და დარღვევათა აღმოსაფხვრელად.

განმეორებითმა შემოწმებამ, რომელიც 1974 წელს მოეწყო, გამოავლინა ანალოგიური ნაკლოვანებები და დარღვევები. ამ შემოწმების შედეგები განიხილა სამინისტროს კოლეგიის სხდომამ, მაგრამ ამჯერადაც არ დაუსახავთ კონკრეტული ღონისძიებები საქმის გამოსასწორებლად.

რვა სახლ-ინტერნატის მუშაობის ახალმა შემოწმებამ (ამ სახლებში ათასამდე ინვალიდი და მოხუცი ცხოვრობს) კვლავ გამოავლინა სერიოზული ნაკლოვანებები, დარღვევები და ბიროკრატიზმები, რომლებიც წლითიწლობით მეორდება, ზოგიერთ სახლ-ინტერნატში კი მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუარესდა.

სახლ-ინტერნატების ხელმძღვანელობა უპასუხისმგებლოდ უკიდებს თავის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას, არ ითვალისწინებს ინვალიდთა და მოხუცებულთა ინტერესებსა და მოთხოვნებს, სათანადოდ არ იბრძვის მათი მომსახურების კულტურის ამაღლებისათვის, ნაკლებად ზრუნავს მათი ცხოვრების სანიმუშო პირობების შექმნისათვის.

მაგალითად, ბევრ სახლ-ინტერნატში არ არის ელემენტარული საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობები. საძინებელ ოთახებში სივიწროვეა. ზოგიერთს აკლია საჭირო ინვენტარი. ისეთ პირობებში, როცა საცხოვრებელი ფართობი არ ჰყოფნით, ბევრ ოთახს ადმინისტრაციის მუშაკები იყენებენ. ბათუმის სახლ-ინტერნატში (დირექტორი დ. ბოლქვაძე), სადაც ზოგიერთ ოთახში თერთმეტამდე მწოლიარე ავადმყოფი ცხოვრობს, ორი ოთახი თანამშრომელთა საცხოვრებლად არის გამოყოფილი.

მეტ წილ შემოწმებულ სახლ-ინტერნატებში აკლიათ მაცივრები, სამზარეულოს მოწყობილობა, ჭურჭელი, სამედიცინო ინვენტარი, აგრეთვე ავადმყოფების მოსავლელი და ოთახების დასალაგებელი სამუალებები. ამავე დროს მათი შეძენისათვის გამოყოფილ სახსრებს ხშირად ვერ ითვისებენ. სათანადო ყურადღება არ ექცევა სანიტარიულ-ჰიგიენური წესრიგის დამყარებას, თეთრეული შემთხვევიდან შემთხვევამდე იცვლება და ისიც — დაფენილი თხოვნის შემდეგ. საძინებელ ოთახებში ელექტრენერგია მყუდროებაც არ არის. ასეთი მდგომარეობაა ძეგვის, კამანის, თერჯოლის, ცხაკაიას და ცხინვალის სახლ-ინტერნატებში.

დამამაყოფილებლად არ არის ორგანიზებული სპეციკონტინგენტის სამედიცინო მომსახურება და მოვლა. მეტ წილ სახლ-ინტერნატებში ჭიმის თანამდებობაზე ჯერ კიდევ შემოავსებელები მუშაობენ, ხოლო ავადმყოფთა მომვლელ სანიტრებს ხშირად დანიშნულებისამებრ არ იყენებენ.

მაგალითად, კამანის სახლ-ინტერნატში რამდენიმე წლის მანძილზე ინვალიდების მომვლელ სანიტრებად გაფორმებული იყვნენ შ. ციკოლია და ტ. აფანასოვა, რომლებიც საერთოდ არ დადიოდნენ სამუშაოზე, ხელფასის უწყისებში არ არის მათი ხელმოწერა, თუმცა მათთვის თითქოს გაცემულია 3 ათას მანეთზე მეტი.

სერიოზული ნაკლოვანებები, დარღვევები და ბიროკრატიზმები გამოვლინდა ყვარის ორგანიზაციაში. ჯერ კიდევ ორგანიზებული არ არის კერძის მოშუადება შეკვეთით, სადილი ერთფეროვანი და უგემური, ხშირად მენიუში არ არის დიეტური კერძები, ძმეიათად არის ხილი, სადილების კალორიულობა დაბალია.

თითქმის ყველა სახლ-ინტერნატში ხელმოშვებულია საბუღალტრო აღრიცხვა და ანგარიშგება. ბევრი ფაქტია, როცა მხოლოდ საანგარიშო თვის დამლევს შეაქვთ შემოსავალში მატერიალური ფასეულობები და პროდუქტები, აგრეთვე ბაზებიდან ჯერ კიდევ მიუღებელი პროდუქტები, საწყობში გაუფორმებლად აღებენ და გასცემენ სურსათს. არის შემთხვევები, როცა ჩამოწერენ მენეუთი გათვალისწინებულზე მეტ კვების პროდუქტებს ხელოვნურად გაზრდილ ფასად, რის შედეგად იზრდება ინვალიდთა და მოხუცებულთა კვების საერთო ხარჯები. ძეგვის სახლ-ინტერნატის საბუღალტრო აღრიცხვაში ხელოვნურად ზრდიდნენ ან ამცირებდნენ სურსათის ფაქტიურ ხარჯვას, რათა დაეფარათ დანაკლისი და ნამეტი.

საბუღალტრო აღრიცხვასა და ანგარიშგებაში არსებული ქაოსის, სახლ-ინტერნატების ხელმძღვანელობის მხრივ მომთხოვნელობისა და კონტროლის შესუსტების შედეგად ყველა შემოწმებული სახლ-ინტერნატის მატერიალურად პასუხისმგებელ პირებს აქვთ კვების პროდუქტების ნნრშენელოვანი ნამეტი და დანაკლისი. თუ წინა (1974 წლის) შემოწმების დროს ექვს სახლ-ინტერნატში მატერიალურად პასუხისმგებელ პირებს ჰქონდათ 160 მანეთის კვების პროდუქტების დანაკლისი და 272 მანეთის ნამეტი, ახლანდელი შემოწმების დროს იმავე სახლ-ინტერნატებში დაფიქსირდა 2.930 მანეთის პროდუქტების დანაკლისი და 2.250 მანეთის ნამეტი.

სახლ-ინტერნატების დამხმარე მეურნეობები, რომლებიც მათი მატერიალური ბაზის განმტკიცებისა და შრომაში ინვალიდების ჩაბმის მიზნით შეიქმნა, არ შეუსაბამება თავის პირდაპირ დანიშნულებას. ამ მეურნეობებში მუშაობენ დაქირავებული ან შტატის მუშაკები, ხოლო მოწეული მოსავალს, ძირითადად, იყენებენ ღორებისა და ძროხების გასასუქებლად. გასუქებულ ღორებს ყოველთვის დამამზადებელ ორგანიზაციებს აბარებენ და არ იყენებენ ინვალიდთა კვებისათვის. მეურნეობებში იშვიათად მოჰყავთ ბოსტნეული, კარტოფილი, კომბოსტო, მწვანილი. ბევრ შემთხვევაში ეს მეურნეობები სახლ-ინტერნატების ზოგიერთი მუშაკის გამდიდრების წყაროდ გადაიქცევა.

დამასასიათებელია, რომ მეტ წილ მეურნეობებში ღორები აღრიცხვა არ ხდება მათი ასაკის, სქესისა და წონის მიხედვით, მათ არც სუქების დაწყებამდე წონიან და არც მიმდგე, რაც ხელს უწყობს ყოველნარ ბიროკრატიზმებიას. ცხინვალის სახლ-ინტერნატში 26 ღორი, რომელთა საერთო წონა 941 კილოგრამი იყო, საერთოდ არ ირიცხებოდა მატერიალურად პასუხისმგებელ პირზე.

მეტი წილი სახლ-ინტერნატების შენობები არადაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია და დაუყოვნებლივ მოითხოვს რემონტს. ამასთან ერთად რემონტისათვის გამოყოფილ სახსრებს სრულად, ან დანიშნულებისამებრ არ იყენებენ.

სერიოზული ნაკლოვანებები და დარღვევები დადგინდა ავტოტრანსპორტის გამოყენებასა და საწვავ-საპოხი მასალებით ჩამოწერის საქმეში თერჯოლის სახლ-ინტერნატში. ძეგვის სახლ-ინტერნატის დირექტორმა ა. ფანქველაშვილმა კი თვითნებურად, უკანონოდ, აშკარად ნაკლებ ფასად — 1.350 მანეთად მიჰყიდა თავის მძღოლს 1972 წელს მიღებული სახლ-ინტერნატის მსუბუქი ავტომანქანა „მოსკვიჩი-408“ კოოკავშირის მცხეთის საშენ მასალათა მაღაზია-საწყობის საშუალებით. ამასთან საერთოდ არ შეუდგენიათ ავტომანქანის ტექნიკური მდგომარეობისა და მისი შეფასების აქტები. ავტომანქანის უკანონო გაყიდვას ხელი შეუწყო მცხეთის მმრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის (თავმჯდომარე დ. რომელაშვილი) გადაწყვეტილებამ, რომელიც ავტომანქანის გაყიდვის შემდეგ მიიღეს.

ეს ფაქტი სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროში ცნობილი გახდა ავტომანქანის გაყიდვის ორი თვის შემდეგ, მაგრამ დღემდეც არ გამხდარა განხილვის საგანი.

ავტომანქანის უკანონოდ გაყიდვის ფაქტის დაფარვის მიზნით ა. ფანქველაშვილმა საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტში სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის ყალბი ბრძანება წარმოადგინა. სამინისტროს საგეგმო-საფინანსო განყოფილების უფროსმა ნ. ბუცსრიკიძემ, რომელიც პასუხს აგებს სახლ-ინტერნატებში საქმეთა ვითარებასათვის, ბოლომდე ვერ შეიგნო თუ რამდენად სერიოზულია იქ შექმნილი მდგომარეობა, შეურიგდა ნაკლოვანებებს, იმას, რომ სახლ-ინტერნატებში მუშაობა თვითდინებაზეა მიშვებული.

ჯერ კიდევ 1973 წლის ნოემბერში საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის დადგენილებით გ. ნადაშვილს გამოეცხადა სასტიკი საყვედური იმისათვის, რომ სამინისტროს სისტემაში ვერ უზრუნველყოფ სათანადო საკონტროლო-სარევიზიო მუშაობა, რის შედეგად საქვეუწყების საწარმოებში კვლავაც იყო დაბაცებისა და სხვა ბიროკრატიზმების ფაქტები. შემდგომში ეს ფუნქციები გადაეცა მინისტრ მ. ჩიხლაძეს, მაგრამ არც ამით გაუმჯობესებულა მუშაობა. აკონტროლო-სარევიზიო განყოფილება (გამგე ა. ჩარკვიანი) კვლავაც არადაკმაყოფილებლად მუშაობს. იგი დაკომპლექტებულია გამოუცდელი, დაბალი კვალიფიკაციის მუშაკებით. ხშირად დოკუმენტური რევიზიები, რომელსაც განყოფილება აწყობს, ზერეული, ფორმალური ხასიათისაა.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს და „ციკავშირის“ სავაჭრო ორგანიზაციები უშვებენ შეფერხებებს სახლ-ინტერნატების მომარაგებაში.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს და სანვიდსამსახურის ორგანოებმა ვერ უზრუნველყვეს ინვალიდთა და მოხუცებულთა შესაბამისი სამედიცინო მომსახურება, ნაკლებად უწევენ კონტროლს სახლ-ინტერნატებში სანიტარიულ-ჰიგიენური წესრიგის დაცვას.

რესპუბლიკის ორგანიზაციები და საწარმოები, რომლებმაც იკისრეს სახლ-ინტერნატების შეფობა, საჭირო დახმარებას არ უწევენ მათ და არ ასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს.

შემოწმებული სახლ-ინტერნატების სახალხო კონტროლის ჯგუფები ფაქტიურად უმოქმედოდ არიან, არ ავლენენ არსებულ ნაკლოვანებებს, სერიოზულ დარღვევებსა და ბიროკრატიზმებს, არ ამოწმებენ ინვალიდების საყოფაცხოვრებო პირობებს, მათს კვებას, სამედიცინო მომსახურებას, სახლ-ინტერნატების სამეურნეო და საფინანსო საქმიანობას.

ქუთაისის, ხელვაჩაურის, თერჯოლის, ცხინვალის, ცხაკაიას, კასპის, მცხეთისა და სოხუმის რაიონების საკონტროლო, კომიტეტები, რომელთა ტერიტორიაზე განლაგებულია სახლ-ინტერნატები, სათანადო ყურადღებით არ ეკიდებიან მათს მუშაობას, პრაქტიკულ დახმარებას არ უწევენ ამ სახლების ხახალხო კონტროლის ჯგუფებს.

მასალები მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლ-ინტერნატების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ გაგზავნილა საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს განსახილველად და მათს საქმიანობაში სახელმწიფო წესრიგის დამყარების გადაუდებელ და ქმედით ღონისძიებათა განსახორციელებლად.

საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის მ. ჩიხლაძის ინფორმაცია ამ საკითხის განხილვის შედეგების შესახებ მოსმენილ იქნეს კომიტეტის სხდომაზე წლიურს დეკემბერში.

საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრს მ. ჩიხლაძეს მიეცეს მკაცრი გაფრთხილება კონტროლისა და მომთხოვნელობის შესუსტებისათვის, სახლ-ინტერნატების ბიბლიოთეკებსა და დარღვევებისადმი შემრიგებლური დამოკიდებულებისათვის.

საკითხი, თუ რამდენად მიზანშეწონილია საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის მოადგილის თანამდებობაზე გ. ნადაშვილის ყოფნა, რომელიც ვერ უზრუნველყოფს მისადმი დაკვლედებარეული სახლ-ინტერნატების ხელმძღვანელობას, დასვას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინაშე.

იმისათვის, რომ ვერ უზრუნველყვეს სათანადო ხელმძღვანელობა, დაუშვეს სერიოზული ნაკლოვანებები და დარღვევები ინვალიდთა და მოხუცებულთა მოვლაში, კვებასა და სამედიცინო მომსახურებაში, მოუწესრიგებელი ჰქონდათ საბუღალტრო აღრიცხვა და ანგარიშგება, რამაც ხელი შეუწყო სახელმწიფო დოვლათის განიავებასა და მითვისებას, თანამდებობიდან განთავისუფლდნენ ბათუმის, თერჯოლისა და კამანის სახლ-ინტერნატების დირექტორები დ. ბოლქვაძე, ს. თურქაძე და ი. კილასონია.

არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობისათვის, მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებებისა და დარღვევებისათვის, საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების მოუწესრიგებლობისათვის ცხაკაიას სახლ-ინტერნატის დირექტორს გ. გარუჩავას გამოეცხადოს სასტიკი საყვედური.

ცნობად იქნეს მიღებული, რომ ცხინვალის სახლ-ინტერნატის დირექტორი ნ. თედეევი სახლ-ინტერნატის სუსტი ხელმძღვანელობისათვის და ნაკლოვანებებისათვის ცხინვალის ოქტომბერ-ბალშევიკურ ინ-ტში ეკონომიკურ ფაკულტეტზე ჩარიცხულ ბ. ბოლქვაძეს, ბ. ბოლქვაძეს, ბ. ბოლქვაძეს,

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის XVIII კლენუმის გადაწყვეტილებანი ცხოვრებაში

დაკარგული ტრადიციების ალსადგენად

ექვსი წლის წინათ ორჯონიკიძის რაიონის ხელმძღვანელობა დაადგა პირუტყვის სულადობის შემცირების მეუღელ უსაფუძვლო გზას. თითქოს ფსხვილების სამაბით გაუქმეს ეცხოველეობის ფერმები სოფლებს, ჩხერის, ნეიოძორის, უბალ, ბუნევის, ბეერტყვეშელს, ნაბურის და ახალსოფლის კოეფერნეობებში. ამ „გზით“ პირუტყვის საერთო სულადობი 200 სულით და ძროხებისა 600 ულით შემცირდა.

მოუფიქრებლად გადადგმულ ბიჯს სამწუხარო შედეგი მოჰა. შემცირდა ხორცისა და რძის რმოება, კვლავ მაღალი დარჩა ბრალებული პროდუქციის თვირებულება. მირაჟივით გაქრა ლი დაპირებანი, რომ თრეს მაღალპროდუქტიული ძრობით დაკომპლექტებული გამეველებული ფერმები უზრუნლყოფდნენ მეცხოველეობის ოდუქტების წარმოების გადიას მცირე დანახარჯებით.

რაიონის საზოგადოებრივი მეუეობანი მწარე სინამდვილის

აღმოჩნდნენ. გული გუდათ კოლეფერნეობათა თავეებს, საბოლოოდ შეაქციეს ერავ მეცხოველეობას. სწორედ ს შედეგად ერთ დანაშაულს ორე მოჰყვა. უყურადღებოა შედეგად მაქათუბნის, უბალ, ხუნევის, ვერტყვეშელის, ნაბურის და ახალსოფლის კოეფერნეობები დაინგრა ფერის კაპიტალური შენობები, დატერა ან განიავდა მოწყობილობანი და დანადგრები.

ეფიქრობთ, რომ ეს ანტისაზოეებრივი მოქმედების ფაქტეი. ახლა რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებს ძვირად უჯთ ადრე გადადგმული მცდაბ ნაბიჯების შედეგად გამოწეული მძიმე შედეგების დაძლეა. ამ სადამე მიიყვანა ეს დაი ცალკულ ხელმძღვანელთა ბიექტურმა, მცდარმა მოსაზრებ.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის XVIII ენუმის შემდეგ რაიონში შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავლად გულდასმით დაიწეს გზების ძებნა. მართალია, არც ისე ადვილია, მაგრამ რაონის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელობა ენერგიულად შრომობენ მიზნის მისაღწევად. ამის შესახებ ვესაუბრეთ პარტიის რაიკომის პირველ მდივანს შ. დევდარიანს.

— საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმის შემდეგ, — გვითხრა მან, — სულ მალე რაიკომის პლენუმზე ეულდასმით ვიმსჯელეთ მეცხოველეობაში შექმნილი სიძნელეების დაძლევის გზებზე. საკითხის მომზადებაში მთელი აქტივი ჩავებით. თავიანთ წინადადებებს გვთავაზობენ სპეციალისტები, რიგითი კომუნისტები, პრაქტიკოსი მეცხოველეები. მათ ბევრი საყურადღებო რეზერვი გამოავლინეს.

მეცხოველეობის აღმავლობის გზაზე მთავარია საკვები ბაზის პრობლემის გადაწყვეტა. ხიფი, უხვი და ყუთიანი საკვები მეტი ხორცი და რძეა. ამ მთავარი საკითხის გადასაჭრელად რაიონში უკვე გადაიდგა პირველი სეროზული ნაბიჯები. დაიწყო და მიმდინარეობს სამანქანო გზის მშენებლობა არჯოლის ხეობაში, რომელიც კოლმეურნეობებს დაუკავშირებს რკინისჯვარის მთის ალპურ საძოვრებთან. აქ 4.000 ჰექტარი უჭირავს ალპური ზონის საძოვრებს, რომელთა გაკულტურების და სარეველებისაგან გაწმენდის შემდეგ ნამდვილი მწვანე კონვეიერი შეიქმნება. ახლად ათვისებულ ალპურ ზონაში 1.000 ჰექტარი გამოიყოფა ბუნებრივ სათბად და აქედან საზამთროდ ფერმებთან სულ ცოტა 2.000 ტონა თივა იქნება ჩამოტანილი.

საკვები ბალანსის შესავსებ რესურსებად გამოიყენებენ ტყის დიდ მასივებს, რომლითაც დაფარულია რაიონის ტერიტორიის დიდი ნაწილი. სრული შესაძლებელია დამზადდეს 2.000 ტონა მცენარეული ფქვილი, რომელსაც შეუძლია შეავსოს 1.000 ტონა კონცენტრირებული საკვების დეფიციტი. ამ ღონისძიებათა განხორციელება პრაქტიკულად გადაწყვეტილია, მხოლოდ საჭიროა „საქსოფლტექნიკამ“ გამოჰყოს რაიონისათვის 5 ცალი თივის საწნეხი და მცენარეული ფქვილის დამამზადებელი ორი დანადგარი.

საკვები ბალანსის შესავსები მთავარი ბაზა მაინც შუალედური ძეტურებია. ჩვენ პირობებში ცალეალკე მაღალ მოსავალს იძლევიან ბარდა და შვრია. ახლა მათ ნარევს დავთესავთ 5.000 ჰექტარ ფართობზე და სულ ცოტა 5.000 ტონა მწვანე მასას გაწარმოებთ. ამ ღონისძიების დანერგვას პირველად შეეუდექით და დახმარება გვესაჭიროება თესლით უზრუნველყოფის მხრივ. გარდა ამისა, აგროტექნიკური კომპლექსის სრული გატარებით სავე შეუძლია შეავსოს 1.000 ტონა კონცენტრირებული საკვების დეფიციტი. ამ ღონისძიებათა განხორციელება პრაქტიკულად გადაწყვეტილია, მხოლოდ საჭიროა „საქსოფლტექნიკამ“ გამოჰყოს რაიონისათვის 5 ცალი თივის საწნეხი და მცენარეული ფქვილის დამამზადებელი ორი დანადგარი.

საკვები ბალანსის შესავსები მთავარი ბაზა მაინც შუალედური ძეტურებია. ჩვენ პირობებში ცალეალკე მაღალ მოსავალს იძლევიან ბარდა და შვრია. ახლა მათ ნარევს დავთესავთ 5.000 ჰექტარ ფართობზე და სულ ცოტა 5.000 ტონა მწვანე მასას გაწარმოებთ. ამ ღონისძიების დანერგვას პირველად შეეუდექით და დახმარება გვესაჭიროება თესლით უზრუნველყოფის მხრივ. გარდა ამისა, აგროტექნიკური კომპლექსის სრული გატარებით ეს შეუძლია შეავსოს 1.000 ტონა კონცენტრირებული საკვების დეფიციტი. ამ ღონისძიებათა განხორციელება პრაქტიკულად გადაწყვეტილია, მხოლოდ საჭიროა „საქსოფლტექნიკამ“ გამოჰყოს რაიონისათვის 5 ცალი თივის საწნეხი და მცენარეული ფქვილის დამამზადებელი ორი დანადგარი.

მეცხოველეობის აღმავლობის გზაზე მთავარია საკვები ბაზის პრობლემის გადაწყვეტა. ხიფი, უხვი და ყუთიანი საკვები მეტი ხორცი და რძეა. ამ მთავარი საკითხის გადასაჭრელად რაიონში უკვე გადაიდგა პირველი სეროზული ნაბიჯები. დაიწყო და მიმდინარეობს სამანქანო გზის მშენებლობა არჯოლის ხეობაში, რომელიც კოლმეურნეობებს დაუკავშირებს რკინისჯვარის მთის ალპურ საძოვრებთან. აქ 4.000 ჰექტარი უჭირავს ალპური ზონის საძოვრებს, რომელთა გაკულტურების და სარეველებისაგან გაწმენდის შემდეგ ნამდვილი მწვანე კონვეიერი შეიქმნება. ახლად ათვისებულ ალპურ ზონაში 1.000 ჰექტარი გამოიყოფა ბუნებრივ სათბად და აქედან საზამთროდ ფერმებთან სულ ცოტა 2.000 ტონა თივა იქნება ჩამოტანილი.

საკვები ბალანსის შესავსებ რესურსებად გამოიყენებენ ტყის დიდ მასივებს, რომლითაც დაფარულია რაიონის ტერიტორიის დიდი ნაწილი. სრული შესაძლებელია დამზადდეს 2.000 ტონა მცენარეული ფქვილი, რომელიც შეუძლია შეავსოს 1.000 ტონა კონცენტრირებული საკვების დეფიციტი. ამ ღონისძიებათა განხორციელება პრაქტიკულად გადაწყვეტილია, მხოლოდ საჭიროა „საქსოფლტექნიკამ“ გამოჰყოს რაიონისათვის 5 ცალი თივის საწნეხი და მცენარეული ფქვილის დამამზადებელი ორი დანადგარი.

საკვები ბალანსის შესავსები მთავარი ბაზა მაინც შუალედური ძეტურებია. ჩვენ პირობებში ცალეალკე მაღალ მოსავალს იძლევიან ბარდა და შვრია. ახლა მათ ნარევს დავთესავთ 5.000 ჰექტარ ფართობზე და სულ ცოტა 5.000 ტონა მწვანე მასას გაწარმოებთ. ამ ღონისძიების დანერგვას პირველად შეეუდექით და დახმარება გვესაჭიროება თესლით უზრუნველყოფის მხრივ. გარდა ამისა, აგროტექნიკური კომპლექსის სრული გატარებით

ლი ფერმების დარაიონებული ჯიშის ძროხებით დაკომპლექტება. მართალია, საღანძილის კოლმეურნეობის ყოფილ ფერმაში შეიქმნა ჯიშიანი დიკეულების გასაზრდელი ჯგუფი 155 სული მოზარდით, მაგრამ ეს ოდნავაც ვერ დააკმაყოფილებს მოთხოვნილებას. ამ საქმეში რაიონის მეცხოველეობის კოლმეურნეობებს სამეურნეობის სამინისტროს ბალანსში თავისი ხვედრითი წილი ექნება.

საკვები ბაზის განმტკიცებისა და პროდუქტიულობის გაზრდის რეზერვების ძებნის პარალელურად სწორაფი ტემპით მიმდინარეობს მეცხოველეობის ახალი კომპლექსების მშენებლობა. უკვე დამთავრდა „რაიკოცხოველმრეწვის“ ახალსოფლის კომპლექსის მთავარი კორპუსის მშენებლობა, რომელიც 200 სული ძროხისთვის არის ნავარაუდევი. მიმდინარეობს ელექტრო-სამონტაჟო და

ალზრდის თემაზე

კოლის ავ-კარგით სისხლხორცეული დაინტერესების გაძლიერება გამოწვეულია იმ ღონისძიებებით, რაც ჩვენს რესპუბლიკაში უკანასკნელ წლებში ხორციელდება.

სწავლა-აღზრდის საქმის შემდგომი გაუმჯობესებისათვის ჩვენს მიერ დასახულ ღონისძიებებს საფუძველად უდვეს უმაღლესი პარტიული და სახელმწიფო ორგანოების სახელმძღვანელო დოკუმენტები.

სავსებით გამართლებულია დაწყებითი კლასებიდან მუშაობის დაწყება, რათა მთელი ზოგადსაგანმანათლებელი საშუალო სკოლა საამედო საძირკველზე დაფუძნდეს.

უკანასკნელ ხანებში ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა დაწყებითი სწავლების რამდენიმე სისტემა, მაგრამ მათი უურადღების ცენტრში მხოლოდ სწავლების პროცესის შეცვლა და გარდაქმნაა. ერთ შემთხვევაში ახალი სისტემა მიმართულია სწავლების პროცესში მოსწავლეთა საერთო განვითარებისაკენ, მეორე შემთხვევაში, ახალი ექსპერიმენტული სისტემის ძირითადი მიზანია მოსწავლეთა ინტელექტუალური ძალების განვითარება. პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიისა და ჩვენი ინსტიტუტის ექსპერიმენტული ლაბორატორიების შემოქმედებითი ურთიერთობის პროცესში აშკარა გახდა, რომ ზემოთ დასახელებული სისტემები საკმარისი სისრულით არ მოიცავენ მოსწავლეთა განვითარების მრავალმხრივ შესაძლებლობებს, კერძოდ, სათანადო მეცნიერული სიღრმით არ ხდება მოსწავლეთა განვითარების შესაძლებლობათა შესწავლა კლასგარეშე მუშაობის პირობებში. ამის გათვალისწინებით, პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტი ათ წელზე მეტია ეწევა საცდელ-ექსპერიმენტულ მუშაობას დაწყებით კლასებში. ამჟამად, გარდა ინსტიტუტის ექსპერიმენტული სკოლისა, ეს მუშაობა დედაქალაქისა და რესპუბლიკის ათი რაიონისა და ქალაქის რამდენიმე სკოლაში წარმოეს.

ექსპერიმენტული სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის თეორიულ ბაზისს წარმოადგენს საბჭოთა პედაგოგიური და ფსიქოლოგიური მეცნიერების უკანასკნელი მონაპოვრები, მდიდარი კლასიკური მემკვიდრეობა, იაკობ გოგებაშვილის, დიმიტრი უზნაძის ფუნდამენტური კონცეფციები.

ჩვენში წარმოებული ექსპერიმენტული სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შინაარსი და ორგანიზაცია დაწყებით კლასებში ემყარება დ. უზნაძის ცნობილ დებულებას იმის შესახებ, რომ ბავშვის ქცევის გენერალური ფორმა თამაშია. მკვლევარები ეძებენ სასწავლო მასალის მიწოდების ისეთ გზებს, რომლებიც ბავშვებს მძიმე, ტვირთად არ განაცდევინებს სწავლას. დიდაქტიკური თამაშები, რასაც მოსამზადებელი კლასის მოსწავლეები ხალისით ასრულებენ, უეთარებს მათ ფონეტიურ სმენას, სიტყვის სტრუქტურული ანალიზის უნარს, კითხვისა და წერისათვის აუცილებელ სასწავლო მოქმედებას, მათემატიკურ წარმოდგენებს. თამაშობით აქტივობაში სასწავლო მასალის მიწოდება თავიდან გვაცილებს ბავშვების დაღლას და სწავლისადმი ინტერესის შენელებას.

ექსპერიმენტულ მუშაობაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმის სწავლებას, თუ როგორ უნდა ისწავლონ, მოსწავლეთა შესაძლებლობების განვითარებას, დამოუკიდებელი აზროვნებისა და მოქმედების ფორმირებას, საგნებისა და მოვლენებისადმი საკუთარი თვალსაზრისის გამომუშავებას.

საერთო განვითარების იდეის საფუძველზე აიგო და ექსპერიმენტულად მოწმდება დაწყებით კლასებში საკლასო და კლასგარეშე მუშაობის მთლიანი სისტემა.

მრავალფეროვანი, მიზანმიმართული კლასგარეშე მუშაობა, მისი სწორი პედაგოგიური ორგანიზაცია კეთილსასურველ პირობებს ქმნის იმისათვის, რომ მოსწავლეებმა ეაკარჯიშოთ ზნეობრივ და ეთიკურ მოქმედებაში.

სწავლების პროცესის შემოქმედებითად გაგება გულისხმობს არა მხოლოდ მასწავლებლის მიერ ცოდნის გადაცემას და მოსწავლეთა მიერ მის ათვისებას, არამედ მოსწავლეთა შემეცნებითი აქტივობის აღძვრას და მის მართვას. ამ პირობებში სწავლების პროცესში საჭირო არ არის იძულება და ძალდატანება, მოსწავლეთათვის სწავლება ხდება საინტერესო, შინაარსიანი და ემოციური. ამგვარად აგებული სწავლების პროცესში მნიშვნელობას კარგავს ნიშნები. უნიშნოდ სწავლება, რაც ექსპერიმენტული მუშაობის პირობებში ხორციელდება, საბჭოთა პედაგოგიური და ფსიქოლოგიური მეცნიერებების წარმომადგენლების, პრაქტიკოსი მასწავლებლების სერიოზულ ყურადღებას იქცევს.

ექსპერიმენტულ მუშაობაში, რომელიც ამჟამად თბილისის პირველ ექსპერიმენტულ სკოლაში წარმოებს, ყურადღების ცენტრშია მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური, ზნეობრივ-ეთიკური და ესთეტიკური აღზრდა, რომლის პროცესში წამყვან ადგილს იჭერს არა სიტყვიერი ზემოქმედება და შეგონებანი, არამედ ქცევის ნორმებსა და მოქმედებაში მოსწავლეთა მიზანმიმართული ვარჯიში, თვითმოქმედებითი და შემოქმედებითი აქტივობა. ყოველგვარი პირობები იქმნება იმისათვის, რომ აღმზრდელთა და აღსაზრდელთა ურთიერთობა სიყვარულის, ნდობის, გულისხმიერების, პატივისცემის, თავაზიანობის და გულწრფელობის საფუძველზე აიგოს.

ექსპერიმენტის მონაცემები გვარწმუნებს, რომ არსებობს რეალური შესაძლებლობა, სასწავლო კვირა შეეამციროთ ერთი დღით, დავიტოვოთ იგი ხუთ დღემდე, მივცეთ მოსწავლეებს მეორე თავისუფალი დღე; 30-35 წუთამდე შეგამციროთ გაკვეთილების ხანგრძლივობა, გავზარდოთ გაკვეთილებს შორის დასვენებათა დრო, მინიმუმამდე დავიყვანოთ საშინაო დავალებათა მოცულობა და მასწავლებელთა კონტროლს დავუქვემდებაროთ მათი შესრულება. ამ ღონისძიების დიდი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის „თავისუფალი დროის“ პრობლემის გადაწყვეტისათვის.

ექსპერიმენტული დაწყებითი კლასების სასწავლო გეგმა ითვალისწინებს რუსული და უცხო ენების მოსამზადებელი კლასებიდან სწავლებას კლასგარეშე მუშაობის ფორმით. ეს ენა ბავშვებს ეუფლებიან ინდივიდუალურ-ჯგუფური

ფესტივალი — ცისფერი ეკრანის ორბიტაზე

17-დან 27 ნოემბრამდე თბილისში გაიმართება სატელევიზიო ფილმების VI საკავშირო ფესტივალი

იწყება სატელევიზიო ფილმების VI საკავშირო ფესტივალი, რომელიც მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი რეპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში. გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტი ესაუბრა საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს, ფესტივალის გენერალურ დირექტორს ივლიტა მესხიშვილს, რომელმაც თქვა:

— ზვალ, 17 ნოემბერს თბილისი სატელევიზიო ფილმების VI საკავშირო ფესტივალის დედაქალაქი გახდება. 17-დან 27 ნოემბრამდე გაიმართება სატელევიზიო ფილმების აღლუმი, ერთგვარი დათვალიერება, რომელიც უკვე ტრადიციად იქცა. ფესტივალს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტი აწყობს, საკონკურსოდ შერჩეულია ის ნაწარმოებები, რომლებიც ამ ორი წლის განმავლობაში შეიქმნა და აღიარება მოიპოვა.

ფესტივალში მონაწილეობას მიიღებენ მოძმე რესპუბლიკების, რსფსრ კომიტეტები, ცენტრალური ტელევიზიის შემოქმედებითი გაერთიანება „ეკრანი“ და ავრეთვე ის კინოსტუდიები, რომლებიც სახელმწიფო კომიტეტის დაკვეთით იღებენ სატელევიზიო ფილმებს.

სატელევიზიო ფილმების VI საკავშირო ფესტივალი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობას ეძღვნება.

ეს ფესტივალი მთ უფრო მნიშვნელოვანია, რომ იგი მეცხრე ხუთწლედის დამაგვირგვინებელ წელს ემართება. წლევანდელი წელიწადი განსაკუთრებით საინტერესო იყო ჩვენი დოკუმენტალისტებისათვის, რომლებმაც ფირზე აღბეჭდეს დიდი შრომითი ენთუზიაზმი, გრანდიოზული მშენებლობები. მათ საშუალება ჰქონდათ გამოეძღვანებინათ მთელი თავიანთი შემოქმედებითი დიაპაზონი, ეკრანის პუბლიცისტიკის დიდი შესაძლებლობა.

საკონკურსოდ შერჩეულია 87 ტელეფილმი, მათ შორის 52 დოკუმენტური, 19 მხატვრული, 16 ტელეფილმ-კონცერტი.

ფესტივალზე წარდგენილი დოკუმენტური ფილმები ყურადღებას იქცევს ჟანრობრივი მრავალფეროვნებით, მხატვრული სიმართლით, და რაც მთავარია, მათ აერთიანებს ერთი უმთავრესი ნიშანთვისება — ისინი თანამედროვეობას ეძღვნება.

ცისფერი ეკრანის დიდი აუდიტორია ფესტივალის დღეებში ბევრ საინტერესო დოკუმენტურ ფილმს ნახავს. მათ შორის არის დოკუმენტური ფილმების ციკლი „რუსეთის მთავარი ქუჩა“ (შემოქმედებითი გაერთიანება „ეკრანი“), ლიტველი კინოდოკუმენტალისტების სურათი „როცა ორი საქმეს ხელს ჰკიდებენ“, ესტონელი დოკუმენტალისტები გვთავაზობენ ფილმს „სამჭედლოს“, კუიბიშევის კომიტეტი — საკონკურსო ფილმს „ბრიგადის ავტოგრაფს“, მოლდავეთის კომიტეტმა კონკურსზე წარმოადგინა „მოქალები“ და სხვა.

სატელევიზიო ფილმების ფესტივალზე საშუალება გვექნება გავეცნოთ საბჭოთა ხალხის ფაშიზმზე გამარჯვების 30-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ფილმებს. ესენია: „ყირიმის ელვანანი ზღვები“ (ყირიმის ტელევიზია), „ნიკოლაი კუზნეცოვი, გმირობის ფურცლები“ (ლვოვის ტელევიზია), „ძმობა“ (უკრაინის ტელევიზია).

სიმბოლურებით უნდა აღინიშნოთ, რომ პატარებისათვის ბევრი მშვენიერი ფილმი იქნა ნაჩვენები. საქმე ის არის, რომ ფესტივალს წინ უძღოდა ტელეფილმების სერია „საბჭოეთის ბავშვები“ (იგი 10-დან 16 ნოემბრამდე მიმდინარეობდა).

მხატვრული ფილმებიდან ნაჩვენები იქნება მრავალსერიანი ფილმი „როგორ იწრთობოდა ფოლადი“ (კიევის დოვჟენკოს სახელობის კინოსტუდია), „ბრძოლაში ჰპოვებ“ (შემოქმედებითი გაერთიანება „ეკრანი“) „დარჩენილ ცხოვრებაზე“ (ლენინგრადის ტელევიზია), „მომხიბვლელობა“ (ყაზახ-ფილმი), „ჩრდილოელი პატრძალი“ (სომხეთის ტელევიზია) და სხვ.

კინოსტუდია „ქართული — ფილმი“ კონკურსზე აჩვენებს მხატვრულ ფილმს „უცნო ფრინველს“ (რეჟისორი ვ. ჩარკვიანი, საქართველოს ტელეფილმების სტუდია) — დოკუმენტურ ფილმს „ჩარხშენებლები“ (რეჟისორი ლ. სიხარულიძე), მუსიკალურ ფილმს „მზიური“ (რეჟისორი ზ. კაკაბაძე) და მხატვრულ ფილმს „რეკორდს“ (რეჟისორი გ. პატარაია).

კონკურსზე საინტერესოდ არის წარმოდგენილი მუსიკალური ეკრანი. ცისფერი ეკრანი ამ დღეებში დაეთმობა ფილმებსა და კონცერტებს, მიძღვნილს დ. შოსტაკოვიჩის, სოლოვიოვ-სედოის, ნ. ბეხმეტნოვის, ვ. ლავროვსკისა და სხვებისადმი. მრავალფეროვანია მულტიპლიკაციური პროგრამა.

სატელევიზიო ფილმების VI საკავშირო ფესტივალის მხატვრული ფილმების ჟიურის თავჯდომარეობს ცენტრალური ტელევიზიის ლიტერატურულ-დრამატული პროგრამების მთავარი რედაქციის მთავარი რედაქტორი კ. კუზაკოვი, მოადგილეა კინორეჟისორი ჟინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი რ. ჩხეიძე, ჟიურის შემადგენლობაში არიან: ჩრდილოეთ ოსეთის ტელევიზიის და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ა. აგუზაროვი, რსფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ა. გალპერინი, სოციალისტური შრომის გმირი კ. ნაცვალიძე, კინორეჟისორი ვ. ზახარიანი, ოპერატორი ი. ნაგორნი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, კინორეჟისორი გ. როშალი და სხვები.

დოკუმენტური ფილმების ჟიურის თავჯდომარეა შემოქმედებითი გაერთიანება „ეკრანის“ მთავარი რედაქტორი ს. ყდანოვი, მუსიკალური ფილმების ჟიურის ხელმძღვანელობს კომპოზიტორი ს. ციხაძე.

ფესტივალის დღეებში გაიმართება შემოქმედებითი დისკუსია, სადაც ინფორმაციას ეფენა კინოხელოვნებაზე, ჩვენი დედაქალაქის სტუმრები ეწვევიან ფაბრიკა-ჭარხნებს, კოლმეურნეობებს, სამხედრო ნაწილებს, თეატრებს, მუზეუმებს.

ნ. გაბაშვილი

გარდაცვალ-ცნობილი ქართველი მეცნიერი, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ნიკოლოზ ვასილის-ძე გაბაშვილი.**

ნ. გაბაშვილი დაიბადა 1903 წელს ქ. თბილისში. დაამთავრა თბილისის პირველი გიმნაზია, შემდეგ კი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. 1948 წელს ქართველ ელექტრიკოსთა შორის მან პირველმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ენერგეტიკული სისტემების ავტომატური მართვის პრობლემებზე.

1930-1945 წლებში ნ. გაბაშვილი პრაქტიკულ საინჟინრო მოღვაწეობას ეწეოდა უმნიშვნელოვანესი ელექტროენერგეტიკული ობიექტების დაგეგმარებისა და ავტომატიზაციის დარგში. მისი უშუალო მონაწილეობით განხორციელდა ამიერკავკასიის რკინიგზის სურამის უღელტეხილის წვეთი ქვესადგურების ავტომატიზაცია. მან დიდ წვლილი შეიტანა ხრამისა და სოხუმის ჰიდროელექტროსადგურების კომპლექსური ავტომატიზაციის საქმეში, რაც შემდგომ საფუძვლად დაედო საქართველოს ენერგეტიკული სისტემის ფართო ავტომატიზაციას.

საინჟინრო მუშაობასთან შეთავსებით, ნ. გაბაშვილი სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სადაც მას თანამიმდევრობით ეკავა დოცენტისა და პროფესორის თანამდებობები ცენტრალური ელექტრული სადგურების, ქსელებისა და სისტემების კათედრაზე, იყო მისი ინიციატივით დაარსებული ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის კათედრის გამგე, ხოლო 1964 წლიდან გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა გამოთვლითი ტექნიკის კათედრასა და ავტომატიკისა და ტელემექანიკის საპროფილო ინსტიტუტის საპარტიო ორგანიზაციის მდივანი.



პროფესორი ნ. გაბაშვილი დამსახურებულად ითვლებოდა საქართველოში ავტომატური მართვისა და ტელემექანიკის პიონერად. მისი ძირითადი ღვაწლი ეხება ავტომატური მართვა მძლავრი ოპერაციათა გამოკვლევისა და გამოთვლითი ტექნიკის დარგებს. მას გამოქვეყნებული ჰქონდა 70 სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის სამი მონოგრაფია და ორი სახელმძღვანელო.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში, რომლის წევრ-კორესპონდენტად არჩეულ იქნა 1961 წელს, პროფესორი ნ. გაბაშვილი თვალსაჩინო სამეცნიერო საორგანიზაციო მუშაობას ეწეოდა. თავმჯდომარეობდა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის კომპლექსურ საპრობლემო სამეცნიერო საბჭოს საქართველოს სექციას.

პოლიტექნიკურ ინსტიტუტში პროფესორი ნ. გაბაშვილი სათავეში ედგა ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის დარგში მეცნიერო ხარისხის მინიჭების საბჭოს, იყო ავტომატური მართვის საბჭოთა კავშირის ეროვნული კომიტეტის წევრი, რამდენიმე კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი და სსრ კავშირის და საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მეთოდური კომისიის წევრი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის წევრი, ხელსაწყოთმშენებლობის საინჟინერო-ტექნიკური საზოგადოების საქართველოს თავმჯდომარე, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო საბჭოს წევრი, დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით, „საპატიო ნიშნის“ ორდენითა და მედლებით.

სახელოვანი მეცნიერისა და მოქალაქის, პროფესორ ნ. გაბაშვილის ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი კოლეგებისა და მრავალრიცხოვან მოწაფეთა შორის.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითი ტექნიკის და მართვის პროცესების განყოფილება; საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო; საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი; ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი; ხელსაწყოთმშენებლობის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების საქართველოს გამგეობა.

რაც თვალს ეჯარება

ეზოა თუ... გარაჟი?

საინტერესოა, რომ თბილისში მომრავლდა მწვანით შემოსილი, მყუდრო სარეკreიერელი ეზოები, სადაც ბავშვებთან ერთად მშობლებიც კარგად გრძნობენ თავს. კარის მეზობლებსაც ერთმანეთი არ ავიწყდებათ. საღამოობით ერთმანეთი ეზოებში ... ეზოა თუ გარაჟი? უცნო კაცი ამ კითხვას გვერდს ვერ აუვლის.

საცხოვრებელი ბინები „ხელშუბეგელ“ კედლებად აღმართულა გარაჟის ირგვლივ. მთავარი შესასვლელიდან ეზოში „მშვიდად“ მიემართება ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს მსუბუქი მანქანები. ეს გარაჟიც ხომ ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს ეკუთვნის. ისე უკეთეს ადგილს ვერც ინატრებდა კაცი, ორი ფეხის ნაბიჯზე სამსახური, იქვე მანქანა... ბოდა, არავინ ფიქრობს, ცხოვრობენ თუ არა ამ ეზოში ადამიანები. ბავშვებს იმის შიშით, რომ მანქანის მსხვერპლნი არ გახდნენ, ოთახიდან თავი ვერ გამოუყვიათ, მოზრდილები სამსახურიდან დაბრუნების შემდეგ იხვ ჩაკეტილან ბინებში, რომ მეზობლები „გამარჯობის“ სათქმელადაც ვეღარ ხვნობენ ერთმანეთს.

მსუბუქი მანქანების „ოფიციალურ“ საღგომებს ისიც დამატება, რომ ამ ეზოში გამწკრივებულია მოპირდაპირე ქუჩაზე მდებარე მაღაზიების საწყობები, მსუბუქი მანქანები ხომ არ აკლდა ამ ეზოს და ახლა საქონლით დატვირთული დიდი საბარგო მანქანებიც აქ იყრის თავს. იწყება მანქანების გადმოტვირთვა და საქონლის საწყობში შეტანა. აქვეა კერძო პირთა მსუბუქი მანქანებიც. ასე გრძელდება ყოველდღიურად. მანქანების საწვავი გაზით გაჟღენთილ ჰაერს ისუნთქავს ასობით მოქალაქე, მანქანის ხიგნალიზაცია და მათი მოტორების ხმაური ძილს უფრთხობს მობინადრეებს. საკვირველია, ნუთუ მაროლა ვერავინ ხედავს ყოველივე ამას.

მოქალაქეებმა დახმარებისათვის რედაქციას მიმართეს, განცხადება ზომების მისაღებად თბილისის პირველი მაისის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომს გადაეგზავნა, საიდანაც მობინადრეებმა ასეთი შინაარსის პასუხი მიიღეს. „პირველი მაისის რაისაბჭოს აღმასკომი გაცნობეთო, რომ ჩვენ უსაინფორმაციოდ ქ. № 13 ეზოში არსებულ ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს გარაჟში მანქანების რეცხვა მიმდინარეობს ყოველგვარი სანიტარული და ტექნიკური ნორმების დაცვით“.

გავოდის, რომ ჩელუსკინელების ქუჩა № 13 მცხოვრებნი თურმე იმაზე სწუხან თუ როგორ რეცხავენ და ასუფთავებენ ეზოში გამწკრივებულ მანქანებს. ხოლო რედაქციის მიერ გამოგზავნილ პასუხში კი გვწერენ, რომ „რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებას დავალებული აქვს კონტროლის დაწესება ჩელუსკინელების ქ. № 13 ეზოში მაღაზიის თანამშრომელთა მიერ კერძო მფლობელობის მანქანების გაჩერების აკრძალვაზე“.

გასაკვირია ის, რომ რაისაბჭო არცერთ პასუხში არ მიუთითებს თუ რამდენად მიზანშეწონილია საერთოდ ამ ეზოში გარაჟის არსებობა.

იქნებ დრო მიეხედოთ ცამეტ ნომერ ეზოს, ვიზრუნოთ პირველ რიგში „ჩაკეტილი“ ბავშვების უსაფრთხოებისათვის, შემდეგ კი მოზრდილთა ნორმალური დასვენებისათვის. საჭიროა ეზო დაემსგავსოს ეზოს.

ლ. ქინჭარაძე.



დღეს აჭარაში

მხატვარ ქალთა ნამუშევრების გამოფენა

ბათუმი. ამ გამოფენის თავისებურება ის არის, რომ დარბაზში მხოლოდ ქალთა ნამუშევრებია წარმოდგენილი. ოხინი სულ ოთხნი არიან — ოლღა ჩიჩუასელეზნიოვა, ნინო ნიფარაძე, მზია ხალვაში და ქეთევან ხოლუაშვილი. გამოფენა მნახველთა ყურადღებას იპყრობს უანრობრივად და თემატურად.

ო. ჩიჩუა-სელეზნიოვა ძველი თაობის მხატვარია, იგი რამდენჯერმე მონაწილეობდა გამოფენებში, ამიტომაც კარგად იცნობენ ბათუმელები. დარჩენები ახალგაზრდები არიან. მათს ნამუშევრებს ეტყობა ორგანიზებულობა, ფაქიზი გემოვნება, შესრულების ოსტატობა.

ვადიდოთ ქალი

ხულო. სოფელ ხიხაძირის კულტურის სახლში გაიმართა სალამო თემაზე „ვადიდოთ ქალი“. საღამო გახსნა ქალთა საბოფლო კომიტეტის თავმჯდომარემ ე. გაბაიძემ.

მოხსენებები „ქალი სოციალისტური საზოგადოების აქტიური წევრი“ და „აჭარის ქალები სახელმწიფო და კულტურულ მშენებლობაში“ წაიკითხეს აჭარის კულტურის სამინისტროს ინსპექტორებმა ე. ხუნდაძემ და დ. ბერიძემ.

სიტყვები წარმოთქვეს კოლმეურნეებმა ფ. გულაძემ, ხიხაძირის ბიბლიოთეკის გამგემ ე. გაბაიძემ, ბათუმის სამხატვრო სასწავლებლის დირექტორმა თ. ღლონტმა. მოეწყო ბათუმის სამხატვრო სასწავლებლის მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა.

დასასრულს აჭარის ხალხური შემოქმედების საოლქო სახლთან არსებულმა აგიტმხატვრულმა ბრიგადამ გამართა კონცერტი.

მწერლები სოფლის მშრომელებთან

ხელვაჩაური. საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებულმა მხატვრული ლიტერატურის პროპაგანდის ბიურომ ლიტერატურული შეხვედრები მოაწყო აჭარის სოფლის მშრომელებთან ხელვაჩაურისა და ქობულეთის რაიონებში.

მწერლები თ. ჯანგულაშვილი, ე. მაისურაძე, ფ. ხალვაში, გ. სალუქვაძე, ზ. ვორგალაძე, ჯ. ქათამაძე, დ. ივარდავა, ვ. ვარშანიძე, შ. როყვა ეწვივნენ ჭარანალის, ახალსოფლის, ახალშენის, განთიადის, მაზოს, თხილნარის, ბობოყვათის, ხალას და სხვა სოფლების მშრომელებს, გამართეს ლიტერატურული შეხვედრები.

• • •

სურათზე: ბათუმი. კინოთეატრ „თბილისის“ შენობა.

ნ. ანასტასიევის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

„საქართველოს სოფლის მეურნეობა“ № 11

გამოვიდა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოველთვიური სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალ „საქართველოს სოფლის მეურნეობის“ მორიგი მეთერთმეტე ნომერი.

სტუმრად ვინოფუსვლელის დედასთან

საბჭოთა კავშირის გმირის ლავრენტი ავალიანის დედას ესტუმრნენ ხუთწლედის ზაპოროჟიელი გმირები

ზაპოროჟიის ოლქის ტოკმაკის რაიონის სოფელ ნიკოლაუბმოოკის საძმო საფლავში. ჩვენშიკი რიოხი იხვე მოედინება ფასის მთიდან და ჰყვება გარდასულ ამბებს, ჰყვება ყოველ ღილით როგორ გაუკვეთოდა ჩანთით მხარზე გადაკიდებული ერთი პატარა ბიჭი ბუმათიდან მოკლე საცალფეხო ბილიკს და ოფურჩხეთის საშუალო სკოლაში მერხს პირველი მიუჯდებოდა, რათა ესწავლა ქვეყნისა და მშობელი ხალხის ერთგულება, თავგანწირვა, სიყვარული... ეს სიყვარული მან დიდი სამამულო ომის დღეებში ფრონტზე თან წაიღო, ამ სიყვარულმა იგი გმირად აქცია.

დიახ, გუმათელი ყმაწვილი ახლა ქანდაკებად აღმართულა ძველისძველ ზაპოროჟიეს მიწაზე, მაგრამ მისი დიდი სიცოცხლე გრძელდება. ზაპოროჟიეს კომკავშირულ-ახალგაზრდულმა ბრიგადებმა სოციალისტური შეჯიბრება გააჩაღეს ლავრენტი ავალიანის სახელის საპატიო წოდების მოპოვებისათვის, ეს სახელი თავდადებული შრომით დნეპრის რკინიგზის ზაპოროჟიეს განყოფილების კომკავშირულ-ახალგაზრდულმა ბრიგადამ მოიპოვა, მათ გმირის ანგარიშზე ათასობით მანეთის პროდუქცია აწარმოეს, პირნათლად გაანაღდეს გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი და ამ იმის ახლა მშვიდად განისვენებს ზაპოროჟიეს ოლქის ტოკმაკის რაიონის სოფელ ნიკოლაუბმოოკის საძმო საფლავში. ჩვენშიკი რიოხი იხვე მოედინება ფასის მთიდან და ჰყვება გარდასულ ამბებს, ჰყვება ყოველ ღილით როგორ გაუკვეთოდა ჩანთით მხარზე გადაკიდებული ერთი პატარა ბიჭი ბუმათიდან მოკლე საცალფეხო ბილიკს და ოფურჩხეთის საშუალო სკოლაში მერხს პირველი მიუჯდებოდა, რათა ესწავლა ქვეყნისა და მშობელი ხალხის ერთგულება, თავგანწირვა, სიყვარული... ეს სიყვარული მან დიდი სამამულო ომის დღეებში ფრონტზე თან წაიღო, ამ სიყვარულმა იგი გმირად აქცია.

ზურათზე: ხტუმრად ლ. ავალიანის დედასთან, მარცხნიდან — დ. ავალიანი (გმირის და), ა. ტემპელენი, ვ. შლიაზოვი, ნ. ავალიანი (გმირის დედა), ა. რევენსკი, ხ. თანენკო, ნ. პოდალიაკი და ა. ფესენკო.

ზოჭალიდან ერევნისაკენ

29 ნოემბერს ერევანში იწყება მიმდინარე საჭადრაკო სეზონის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ღონისძიება — ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატი უმაღლესი ლიგის მოჭადრაკეთა შორის. თავისი შემადგენლობით იგი უდავოდ აღემატება წლეულს ჩატარებულ ყველა საერთაშორისო ტურნირს (მათ რიცხვში მილანისა და მანილის „სუპერ-ტურნირებსაც“). თქმა არ უნდა, ერევანში გამართულ ასპარეზობას ცხოელი გამოხმაურება მოჰყვება საჭადრაკო სამყაროში.

ერევანში ითამაშებს მსოფლიოს ჩემპიონი კარპოვი. მას შემდეგ, რაც შოფლიოს ჩემპიონმა გამიმარჯვა ლიუბლიანისა და მილანის დიდ საერთაშორისო ტურნირებში, ჩინებულად ითამაშა საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე, ცხადია კარპოვის მორიგ გამოსვლას დიდი ინტერესით მოელიან.

უმაღლეს ლიგაში თამაშისათვის ემზადებიან პრეტენდენტთა ფინალური მატჩის მონაწილე კორჩნოი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონები ტალი და ბელიავსკი.

სულ ამ ტურნირში 18 ცნობილი დიდოსტატი და ოსტატი მოიყრის თავს. შეტად მკაცრია ბრძოლის პირობები: 9 უძლიერესი გაისად ისევ უმაღლეს ლიგაში გამოვა, ექვსი პირველ ლიგაში გადავა, ხოლო სამ უკანასკნელს ყველაფრის თავიდან დაწყება — საკავშირო შესარჩევ ტურნირში გამოსვლა მოუხდება.

გ. გამრეკელი.

ფიზიკოსთა ნაკრები

ოდესაში მიმდინარე სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ნაკრებთა ტრადიციული საჭადრაკო მატჩის მესამე ტურში მხოლოდ ორი პარტია დამთავრდა. ვლადიმეროვიჩმა მოუგო ხოლმოვს, ხოლო სუეტინ-ვუკიჩი ყაიმზე შეთანხმდნენ. გადაიდო ოსტოიჩ-ტუკმაკოვის, რომანიშინ-ვლიგორიჩის, რაიკოვიჩ-ალბურტისა და ვასანიან-ივკოვის პარტიები. ჯერჯერობით ანგარიში 7,5:5,5 საბჭოთა მოჭადრაკეების სასარგებლოდ. მომდევნო ტური დღეს გაიმართება.

,,ბურევესტნიკის“

თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა საქართველოს გუნდური პირველობა, რომელშიც სპორტსზოგადოებებისა და უწყებების ექვსი გუნდის 54 მოჭადრაკე მონაწილეობდა. თვითეული გუნდში გამოდიოდა 7 ვაჟი და 2 ქალი.

დაძაბული ბრძოლის შემდეგ რესპუბლიკის ჩემპიონობა მოიპოვა „ბურევესტნიკის“ ნაკრებმა, რომლის პირველ დაფაზე თამაშობდა საერთაშორისო ოსტატი თამაზ გიორგაძე. მეორე ადგილზე გამოვიდა „განთიადის“ (პირველ დაფაზე — ოსტატობის კანდიდატი გურამ ალალოზაშვილი), ხოლო მესამეზე — „დინამოს“ გუნდი (პირველ დაფაზე — ოსტატი ელიზბარ უბილავა).

ე. მელიქსეთბეგი,
საკავშირო კატეგორიის მხაჭი.

„სპორტლოტოს“ ტირაჟი

გაცნობებთ 12 ნოემბერს მოსკოვში გამართული „სპორტლოტოსა“ და „სპორტლოტო-2“-ის 43-ე ტირაჟის შედეგებს.

„სპორტლოტო“: 19 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 23 (მძლეოსნობა), 8 (ჭრიკი), 47 (ბურთიანი ჰოკეი), 5 (ბადმინტონი), 38 (მშვილდოსნობა),

„სპორტლოტო-2“: 21 (ცხენოსნობა), 19 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 4 (თამაშვლელობა), 7 (ბიატლონი), 3 (აკრობატიკა), 39 (სამბო). (საკდესი).

დინამოელები ანგარიშს აგარეგენ

14 ნოემბერს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს კულტურის სახლში გაიმართა ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს V პლენუმი.

პლენუმი გახსნა საზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრმა კ. კეთილაძემ.

პლენუმზე მოხსენება „სსრ კავშირის ხალხთა VI საზოფხულო სპარტაკიადაზე დინამოელთა გამოსვლების შედეგებისა და 1976 წლის ოლიმპიური ასპარეზობისათვის დინამოელთა მომზადებაში „დინამოს“ საქართველოს ორგანიზაციის ამოცანების შესახებ“ გააკეთა „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ნ. გვახარიამ. კამათში გამოვიდნენ რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. შადური, საზოგადოება „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. კუპრიანოვი, აკადემიკოსი ფუხაზეთის, თბილისის წარმომადგენლები, აგრეთვე მწვრთნელები და სპორტსმენები.

პლენუმმა მიიღო ვრცელი დადგენილება. (საქინფორმი).

კრივი

მოიგეს მასპინძლებმა

ნიუ-იორკი, 15 ნოემბერი. (საკდესი). ამერიკელი და საბჭოთა მძიმე წონის მოკრივეთა ისტორიაში პირველი შეხვედრა დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით — 6:4.

ფეხბურთი

უკანასკნელი მატჩი

ლვოვი უკრაინის დედაქალაქის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართება „ა“ კლასის უმაღლესი ლიგის 37-ე საკავშირო ჩემპიონატის უკანასკნელი, 240-ე მატჩი. ჩვენი ქვეყნის 1975 წლის ჩემპიონი კიევის „დინამო“ უმასპინძლებს მოსკოვის „ტორპედოს“.

დღევანდელი შეხვედრის შედეგს პრაქტიკულად არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რადგანაც მეოთხე ადგილის დაკარგვა ტორპედოელებს შეუძლიათ მხოლოდ დიდი ანგარიშით... 0:11 წაგების შემთხვევაში. შეგახსენებთ, რომ ამ გუნდების პირველი წრის მატჩი დამთავრდა ფრედ — 2:2.

მატჩის რეპორტაჟი გადმოცემული იქნება ცენტრალური ტელევიზიით 20 საათსა და 05 წუთიდან.

ტელევიზია

16 ნოემბერი

პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან) 10.10 — დილის ვარჯიში. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — „მაღვიძარა“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — „შვიდსწავლოთ რუსული ენა“, 11.45 — „მულტიპარორამა“. ფერადი გამოსახულებით, 13.05 — „საჭადრაკო სკოლა“, 13.25 — კინოგაზეთი, 13.55 — კინონარკვევი, 14.10 — „ჯადოსნური ეკრანი“, 14.30 — „ბუნიკალური კიოსკი“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 15.00 — სატელევიზიო ფილმების VI საკავშირო ფესტივალი. სატელევიზიო მრავალსერიანი თერადი დოკუმენტური ფილმი „საბჭოთის ბავშვები“ — „თურქმენეთის ბავშვები“ (თურქმენეთის ტელევიზიის შაწარმოები), 15.55 — „კინომოყვარულთათვის“, 17.15—„ვემზადოთ მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადისათვის“, 17.35 — სატელევიზიო პროგრამა „ახალგაზრდობა“, 18.00—„საერთაშორისო პანორამა“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.30—მოსწავლეთათვის სატელევიზიო გადაცემა „ასფურცელა“ (განმეორებით), 19.20 — სატელევიზიო ფილმების VI საკავშირო ფესტივალი. სატელევიზიო მრავალსერიანი ფერადი დოკუმენტური ფილმი „რუსეთის ბავშვები“ (გაერთიანება „ეკრანი“), 20.20 — საესტრადო კონცერტი. ფერადი გამოსახულებით, 20.50 —„მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.05 — „საფუსტივალო შეხვედრების ეკრანი“. ფერადი გამოსახულებით, 22.00 — „ეჩრმია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — ავიტიქ ისაკიანის დაბადების მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამოს ტრანსლაცია საბჭოთა კავშირის სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრიდან.

მეორე პროგრამით

18.05 — ბავშვებისათვის მხატვრული ფილმი „იყო ნამდვილი მედფდაფე“, 19.35 — კონცერტი, 20.05 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების პროგრამა, 22.05 — მხატვრული ფილმი „მუსიკალური ისტორია“.

რადიო

17 ნოემბერი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — შ. აზმაიფარაშვილი. „ძველი თბილისის სურათები“, 06.50 — „სოფლის დილა“, 07.30 — დილის კონცერტი, 08.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (გადმოცემა მოსკოვიდან), 08.10 — საბჭოთა კავშირის ხალხთა მუსიკა, 10.15 — რადიოკომპოზიცია „მეგორობა გზად და ხიდად“, 10.45 — ახალგაზრდული სიმღერები, 11.05 — ა. ჩიმკაიძე. კანტატა „ქართლის გული“, 11.45 — საუბარი „აგროქიმია უნდა მოსავლის საფუძველია“, 12.15 — მღერის ანსამბლი „გორდელა“, 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ — ერისთავი, 12.40 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 12.45 — ინსტრუმენტული პიესები ანსამბლ „ტერციის“ შესრულებით, 13.00 — უკანასკნელი ცნობები (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.15 — ამინდის ბიულეტენი, 13.30 — გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 14.00 — „მოხეილ ივანეს-ძე კალინინი“. რადიოკომპოზიცია დაბადების მე-100 წლისთავის გამო (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — მოსწავლეთათვის. რადიოდადგმა „გულიანური ლილიპუტების ქვეყანაში“, 18.05 — ქართული ჯაზური მუსიკა, 18.45 — მსუბუქი მუსიკა, 19.00 — „ჩემი ქარხანა — ჩემი სიამაყე“. თბილისის მ. ი. კალინინის სახელობის სამსმელო მოწყობილობათა ქარხნის მოწინავე მუშის ე. მარღანის პუბლიცისტური გამოსვლა, 19.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 20.00 — რ. ლაღიძე. ოპერა „ლეილა“, 21.50 — „სიმონ ჯანაშია“ (დაბადების 75-ე წლისთავის გამო), 23.30 — მსუბუქი მუსიკის კონცერტი, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

თეატრები

16 ნოემბერი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — მოსახლე ქალბატონი, დიდი კონცერტი, (დღისით მე-10 აბონ. პირველი წარმ. მოსწავლეთათვის), **ქეთო და კოტე** (საღამოს, მე-14 აბონ. მეორ